

## წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი

1-18 ივნისი 2012

ტელევიზიების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს რადიონობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რადიონობრივში შედის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, პირდაპირი და ირიბი საუბარი და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტები კი არის: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, კადრებით და მუსიკით მანიპულირება.

რადიონობრივი მონაცემები მოცემულია დიაგრამებზე, რომლებიც ანგარიშს თან ერთვის. დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია მონიტორინგის კონკრეტულ პერიოდში თითოეულ არხზე ყველა სუბიექტისთვის დათმობილი დრო, რაც თითოეული დიაგრამის სათაურშია მითითებული. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამ არხზე ამ პარტიას დრო საერთოდ არ დაეთმო. ის პარტიები კი, რომლებსაც რამდენიმე წამი მაინც დაეთმო, დიაგრამაზე ნაჩვენებია (ხშირად დროის 0 პროცენტით). თითოეულ არხზე კატეგორია სხვაში გაერთიანებულია ის სუბიექტები (პოლიტიკური პარტიების გარდა), რომლებსაც ამ არხზე დროის 1 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო.

პირდაპირი და ირიბი საუბარი ერთმანეთისგან განასხვავებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი საუბარი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო, რაც დიაგრამებზე მოცემულია სუბიექტების გასწვრივ. ის სუბიექტები, რომლებსაც არხზე ერთ წუთზე ნაკლები დრო დაეთმო, დიაგრამებზე წარმოდგენილი არ არის იმიტომ, რომ არ შექმნას მცდარი სურათი.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მხოლოდ მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური

(ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ხდება დათმობილი დროის ტონის შეფასება. ყურადღება ექცევა როგორც ჟურნალისტის ან რესპონდენტის ტექსტს, ასევე სიუჟეტის მთლიან კონტექსტს.

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონი დათვლილია ორგვარად: ჟურნალისტის ტონი და რესპონდენტის ტონი. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია კონკრეტულ არხზე სუბიექტზე საუბრის დრო ცალკე ჟურნალისტების მიერ და ცალკე სხვა რესპონდენტების მიერ. სუბიექტები, რომლებსაც თითოეულ შემთხვევაში დაეთმო 1 წუთზე ნაკლები, დიაგრამებზე წარმოდგენილი არ არის, რადგან მცდარი შთაბეჭდილება შეიძლება, შეიქმნას, როცა, ვთქვათ, 2 წამით უარყოფითად ნახსენებ სუბიექტს 100 პროცენტი უარყოფითი ან დადებითი ტონი ექნება.

თვისებრივად მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა ბალანსს ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. ასევე სიზუსტეს, რომლის შესაფასებლადაც მონიტორი აკვირდება, თუ რამდენად შესაბამისია ერთმანეთთან ჟურნალისტის დასკვნა და სიუჟეტში გამოყენებული მასალები (კადრები, რესპონდენტების კომენტარები), არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში. ხდება დაკვირვება, რამდენად ეხება სიუჟეტი რაიმე კონკრეტულ ფაქტს და არის თუ არა სიუჟეტში მოყვანილი ამ ფაქტის დამადასტურებელი კადრები/კომენტარები.

მონიტორინგი ყურადღებას აქცევს საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს. ითვლება, რომ მოახდინეს კადრებითა და მუსიკით მანიპულირება მაშინ, როცა სიუჟეტში გამოყენებული კადრები, ფოტოები ისეა წარმოდგენილი და თან დაჰყვება ისეთი მუსიკა, რომელიც გარკვეულ განწყობას ქმნის და იწვევს მკვეთრად დადებით ან უარყოფით ასოციაციებს.

ამ კომპონენტებზე დაყრდნობით წარმოდგენილია 1-18 მაისის საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით.

## პირველი არხი

მონიტორინგის პერიოდში (1-18 ივნისი) „მოამბეში“ აღინიშნა სიახლე: სტუდიაში მოსულ სტუმარს 7-10 წუთის განმავლობაში ჟურნალისტი უსვამდა კითხვებს. ამ პერიოდში „მოამბის“ სტუდიის სტუმრები იყვნენ შემდეგი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: კოალიცია ქართული ოცნება, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, თავისუფალი საქართველო, ახალი მემარჯვენეები. მათი სტუმრობა „მოამბეში“ აისახა მონიტორინგის რაოდენობრივ შედეგებზე.

პირველ არხზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას (26%). აღსანიშნავია, რომ ყველა სხვა სუბიექტს დროის 13 პროცენტზე ნაკლები დაეთმო. თუმცა, პოლიტიკური პარტიები: ახალი მემარჯვენეები (8%), ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (6%), თავისუფალი საქართველო (5%) და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა (5%) სხვა სუბიექტებთან შედარებით მეტად გაშუქდნენ. (იხ. დიაგრამა 1)

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ პირველ არხზე 1-დან 18 ივნისამდე პერიოდში რაიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია არ გამოვლინდა. (იხ. დიაგრამა 2)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 1 სუბიექტის მიმართ გამოვლინდა უარყოფითი ტონი: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (5%). ასევე 6 პროცენტი დადებითი ტონი დაფიქსირდა ჟურნალისტის მხრიდან მთავრობის მიმართ. დანარჩენ სუბიექტებს ჟურნალისტი ძირითადად ნეიტრალური ტონით მოიხსენიებდა (იხ. დიაგრამა 3).

იმის გამო, რომ „მოამბეში“ კვირაში სამჯერ სტუდიაში სტუმრად იწვევენ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერებს, სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონის შეფასება სხვა რესპონდენტების საუბრის მიხედვით საკმაოდ არაერთგვაროვანია. ყველაზე მეტი დადებითი ტონი (51%) აქვს პარტიას თავისუფალი საქართველო, რაც იმან გამოიწვია, რომ 13 ივნისს სტუდიაში სტუმრად მყოფმა კახა კუკავამ ძალიან დადებითად ისაუბრა თავის პარტიაზე და მის პროგრამაზე. ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი კი დაფიქსირდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ (49%), რასაც იგივენაირი ახსნა შეიძლება ჰქონდეს.

უარყოფითი ტონის საკმაოდ დიდი წილი გამოვლინდა ასევე პრეზიდენტისა (28%) და კონტროლის პალატის (43%) მიმართ. (იხ. დიაგრამა 4)

მონიტორინგი სიუჟეტებს აკვირდება მთლიანობაშიც და აღრიცხავს სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებას რომელიმე სუბიექტის მიმართ. აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში სიუჟეტები ნეიტრალურ შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა, გვხვდება შემთხვევები, როცა ხელისუფლების, პრეზიდენტისა და მთავრობის წარმოჩენა სიუჟეტებში მთლიანობაში დადებითისკენ იხრება. მაგალითად, პრეზიდენტი წარმოჩენილია ხალხში, მათთან ხელგადახვეული, რაც პრეზიდენტზე დადებით შთაბეჭდილებას ქმნის (12 ივნისი, პრეზიდენტი კახეთში). ასევე 11 ივნისის სიუჟეტში საქართველოში სადამკვირვებლოს მისიის შესახებ ერთადერთი რესპონდენტი ჯეიმს აპატურაი დადებითად საუბრობს საქართველოზე და აქებს ხელისუფლებას. აპატურაი ამბობს: „გვიქრობ, ხელისუფლებამ უკვე დიდი განაცხადი გააკეთა, როდესაც არჩევნებზე საერთაშორისო დამკვირვებლები მიიწვია“. ამას თარგმნის ჟურნალისტი და ამ კონკრეტულ წინადადებას ორჯერ ზედიზედ იმეორებს. ამ სიუჟეტში ჟურნალისტის ტექსტი ნეიტრალურია, თუმცა, მთლიანობაში დადებითი შთაბეჭდილება რჩება ხელისუფლებაზე.

სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ, პირველ არხზე სიუჟეტები ძირითადად დაბალანსებულია და წარმოდგენილია სხვადასხვა მოსაზრება გაშუქებული საკითხის გარშემო. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გვხვდება სიუჟეტები, სადაც რჩება იმის შეგრძნება, რომ საკითხზე სრული სურათის შექმნისთვის საჭიროა ხელისუფლების წარმომადგენლების კომენტარები, მაგრამ სიუჟეტში მოცემული არ არის. მაგალითად, 6 ივნისის სიუჟეტში არჩევნებთან დაკავშირებით ეთნიკური უმცირესობების პრობლემების შესახებ მოცემულია არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით და არ არის ნაჩვენები ხელისუფლების პოზიცია. ასევე 9 ივნისის სიუჟეტში „დემოგრაფიული პოლიტიკა“ წარმოდგენილია პოლიტიკური პარტიების მოსაზრებები დემოგრაფიულ საკითხებთან დაკავშირებით და არ არის უმრავლესობის არც ერთი წარმომადგენელი.



რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის დასკვნასა და რესპონდენტების კომენტარებს ან ვიდეო მასალას შორის, პირველ არხზე რამდენიმე შეუსაბამობა დაფიქსირდა. მაგალითად, 8 ივნისის სიუჟეტში კონტროლის პალატის გადაწყვეტილების შესახებ, ჟურნალისტის თქმით, კონტროლის პალატა ამბობს, რომ ივანიშვილის მხრიდან მოსყიდვის რამდენიმე ფაქტს ჰქონდა ადგილი და პალატა ავრცელებს მასალას, რომლის მიხედვითაც შპს ელიტ ბურჯზე დარეგისტრირებული 239 ავტომანქანა სიმბოლურ ფასად ემსახურებოდა ქართული ოცნების საარჩევნო კამპანიას. თუმცა, მსგავს რამეს არ ადასტურებს კონტროლის პალატის წარმომადგენლის კომენტარი და ასევე არავითარი ოფიციალური დოკუმენტი ან მასალა არაა ნაჩვენები.

შეუსაბამობის მეორე მაგალითია 14 ივნისის სიუჟეტი ციხეებში არჩევნების ჩატარების გადაწყვეტილებაზე. სიუჟეტის დასაწყისში ჟურნალისტი ამბობს რომ ყველა პარტია ამბობს და თანხმდება, რომ ეს წინ გადადგმული ნაბიჯია და ასევე ყველა თანხმდება იმაზე, რომ აუცილებელია იქ იყვნენ საერთაშორისო დამკვირვებლები. სიუჟეტიდან გამომდინარე ეს არ შეესაბამება სიმართლეს. დამკვირვებლებზე და ამ გადაწყვეტილების სისწორეზე მხოლოდ დავით გამყრელიძე საუბრობს, ხოლო გურამ ჩახვაძე მხოლოდ გადაწყვეტილების მნიშვნელობას უსვამს ხაზს და არ ახსენებს დამკვირვებლებს. სიუჟეტში რესპონდენტებად ასევე წარმოდგენილი არიან ლევან ვეფხვაძე, ზაქარია ქუცნაშვილი და სოზარ სუბარი. არცერთი მათგანი არ საუბრობს არც გადაწყვეტილების მნიშვნელობაზე და მის დადებით მხარეზე და არც დამკვირვებლების აუცილებლობაზე. პირიქით, ვეფხვაძე შესაძლო რისკებსა და ზეწოლაზე საუბრობს, ხოლო სოზარ სუბარი პირდაპირ ნეგატიურად საუბრობს ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე. აქედან გამომდინარე ჟურნალისტის პირველივე წინადადება არის შეცდომაში შემყვანი და წინასწარ ქმნის სხვანაირ განწყობას რაც სიმართლეს არ შეესაბამება.

## რუსთავი 2

რუსთავი 2-ზე 1-დან 18 ივნისამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო (35%) დაეთმო პრეზიდენტს. დათმობილი დროის მიხედვით მეორე და მესამე ადგილი დაიკავეს მთავრობამ (19%) და კოალიცია ქართულმა ოცნებამ (18%). ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 5 პროცენტი (მხოლოდ ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას) ან ამაზე ნაკლები დაეთმო (იხ. დიაგრამა 5).

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ საინტერესოა, რომ პრეზიდენტი, რომელსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო, ამ დროის თითქმის სამი მეოთხედის განმავლობაში (73%) თვითონ საუბრობდა. ეს ტენდენცია თვისებრივი მონიტორინგის დროსაც გამოიკვეთა. მაგალითად, 6 ივნისის სიუჟეტში პრეზიდენტის შეხვედრაზე ვარკეთილის მოსახლეობასთან სააკაშვილის სიტყვა გაგრძელდა 6 წთ და 37 წამი მაშინ, როცა სიუჟეტის მთლიანი დრო 6 წთ და 46 წმ იყო. 15 ივნისის სიუჟეტში „აგროტურები სოფლებში“, რომელიც დაახლოებით 10 წუთი გაგრძელდა, პრეზიდენტი საუბრობს 5 წუთის განმავლობაში და დანარჩენი 5 წუთის განმავლობაში თითქმის სულ ჩანს.

პირდაპირი საუბრის დიდი წილი აქვთ ასევე ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობას (70%), ადგილობრივ თვითმმართველობას (74%), ახალ მემარჯვენებს (65%), ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (81), ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას (67%). რაც შეეხება კოალიცია ქართულ ოცნებას და ლეიბორისტულ პარტიას, მათ ყველაზე ნაკლები პირდაპირი საუბრის წილი აქვთ - 33 და 37 პროცენტი (იხ. დიაგრამა 6).

ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს რაც შეეხება, რუსთავი 2-ზე მოცემულ პერიოდში ჟურნალისტები ძირითადად ნეიტრალური ტონით საუბრობენ სუბიექტებზე. ყველაზე მეტი დადებითი ტონი (7%) დაფიქსირდა პრეზიდენტის მიმართ და ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი (7%) - კოალიცია ქართული ოცნების მიმართ (იხ. დიაგრამა 7).

13 ივნისის სიუჟეტი ფერმერთა მომსახურების ცენტრის შესახებ აგებულია პრეზიდენტზე და ჟურნალისტის საუბარზე იმის შესახებ, თუ რას საქმიანობს და რა სარგებელი მოაქვს აღნიშნულ ცენტრს საზოგადოებისთვის. ეს კი ასოცირდება პრეზიდენტისა და მთავრობის ძალისხმევასთან და დადებითად წარმოაჩენს მათ.

11 ივნისის სიუჟეტი „ქართული ოცნების მაჟორიტარები“ ნეგატიურად წარმოაჩენს კოალიცია ქართულ ოცნებას. ჩამოთვლილია მაჟორიტარების სია, მოყვანილია ნეგატიური ფაქტები „პოლიტიკური ისტორიიდან“, თანაც ირონიულ კონტექსტში.

იმ შემთხვევაში, როცა სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტები საუბრობდნენ სუბიექტებზე, ყველაზე მეტი დადებითი ტონი პრეზიდენტის მიმართ გამოვლინდა (22%). დადებითი ტონის შედარებით დიდი წილი (16-16%) აღინიშნა მთავრობისა და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის მიმართ და მხოლოდ 3 პროცენტი - კოალიცია ქართული ოცნების მიმართ. ამ უკანასკნელს უარყოფითი ტონის ყველაზე დიდი წილი დაუფიქსირდა (18%). აღსანიშნავია, რომ სუბიექტი მთავრობა რესპონდენტების ტონის მიხედვით შედარებით დაბალანსებულად წარმოჩინდა - თითქმის თანაბარი დრო დაეთმო მის დადებით და უარყოფით გაშუქებას (იხ. დიაგრამა 8).

რუსთავი 2-ზე ხშირია სიუჟეტებში მხოლოდ ერთი რესპონდენტის წარმოდგენა იმის მიუხედავად, თუ რა თემაზეა სიუჟეტი და რომელი პოლიტიკური ძალაა გაშუქებული.

რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის ნათქვამსა და სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების კომენტარებსა და ვიზუალურ მასალას შორის, ხშირად გვხვდება სიუჟეტები, სადაც ეს შეუსაბამობები აშკარაა. მაგალითად, 9 ივნისის სიუჟეტში „ოცნების ყუთები“ ჟურნალისტი ამბობს, რომ „სურვილები ტექნიკის ჩამონათვალით, ქართული ოცნების წესების თანახმად, მხოლოდ აქციაზე მისვლის სანაცვლოდ სრულდება“. ეს მოსაზრება არ არის გამყარებული არც რომელიმე სუბიექტის სიტყვებით, არც რაიმე დამადასტურებელი ვიზუალური მასალით.

9 ივნისის სიუჟეტში „დამძობილებული ქალაქები“ ჟურნალისტი ამბობს, რომ „ლატვიელი ინვესტორები ანაკლით დაინტერესდნენ“. თუმცა, არ არის ნაჩვენები ამის დამადასტურებელი ფაქტი და არ არის რომელიმე ლატვიელი ინვესტორის კომენტარი.

რუსთავი 2-ზე დაფიქსირდა კადრებითა და მონტაჟით მანიპულირების რამდენიმე შემთხვევა. მაგალითად, 9 ივნისის სიუჟეტში „ოცნების ყუთები“ ჟურნალისტი ამბობს, რომ „ამომრჩევლის მოსყიდვა ისეთივე დანაშაულია, როგორც ცრუ დაპირება და მათი შეცდომაში შეყვანა“. ამის ფონზე ჩანან ქართული ოცნების აქტივისტები და ქართული ოცნების ლოგო, რაც ქართულ ოცნებაზე ნეგატიურ ასოციაციებს აჩენს.

## იმედი

1-დან 18 ივნისამდე პერიოდში იმედზე ყველაზე მეტი დრო, 35 პროცენტი (2 სთ 9 წთ), დაეთმო პრეზიდენტს. დათმობილი დროის მიხედვით პირველ სამეულში ასევე მოხვდნენ კოალიცია ქართული ოცნება და მთავრობა 15-15 პროცენტით. ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას დაეთმო დროის 6 პროცენტი. დანარჩენ სუბიექტებს კი ამაზე ნაკლები. (იხ. დიაგრამა 9)

საინტერესოა პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტული განაწილება პრეზიდენტისა და კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში. მართალია დათმობილი დროის მხრივ ამ ორ სუბიექტს შორის დიდი განსხვავებაა - პრეზიდენტს 2 საათზე მეტი დაეთმო, კოალიციას კი თითქმის ერთი საათი, მაგრამ პრეზიდენტს დათმობილი დროის 72 პროცენტის შემთხვევაში თვითონ ჰქონდა პირდაპირი საუბრის საშუალება, ხოლო 28 პროცენტის შემთხვევაში მასზე საუბრობდნენ სხვები. მაგალითად, 14 ივნისის სიუჟეტი „მედია 2012“ გრძელდებოდა 4 წუთი და 23 წამი და აქედან თითქმის 3 წუთი დაეთმო პრეზიდენტის საუბარს. იმავე გამოშვების სიუჟეტში ურეკის რეაბილიტაციის შესახებ 5-წუთიანი სიუჟეტის ნახევრის განმავლობაში საუბრობს პრეზიდენტი.

კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში კი პირიქით, დროის 27 პროცენტის შემთხვევაში კოალიციის წარმომადგენლები პირდაპირ საუბრობდნენ სიუჟეტებში, 73 პროცენტის შემთხვევაში კი მათ ირიბი საუბარი დაუფიქსირდათ (იხ. დიაგრამა 10).

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილებას, იმედზე ჭარბობს ნეიტრალური ტონი. მთავრობისა და პრეზიდენტის მიმართ გამოვლინდა დადებითი ტონი 4-4 პროცენტი. რაც შეეხება უარყოფით ტონს, კოალიცია ქართული ოცნებისთვის დათმობილი 25 წუთიდან 16 პროცენტის შემთხვევაში ჟურნალისტი მათზე უარყოფითად საუბრობდა. ნეგატიური ტონი გამოვლინდა ამომრჩეველთა ლიგის მიმართაც - 51 პროცენტი 1 წუთი და 15 წამიდან (იხ. დიაგრამა 11).

იმედზე სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება რესპონდენტების ტონის მიხედვით შემდეგნაირია: ყველაზე მეტი დადებითი ტონი ლეიბორისტული პარტიის

მიმართ დაფიქსირდა (67%), თუმცა, ლეიბორისტულ პარტიაზე სიუჟეტებში წარმოდგენილმა რესპონდენტებმა მხოლოდ 2 წუთის განმავლობაში ისაუბრეს. დადებითი ტონი ასევე გამოვლინდა მთავრობის (30% 9 წუთიდან), ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის (28% დაახლოებით 2 წუთიდან), პრეზიდენტის (15% 7 წუთიდან) და კოალიცია ქართული ოცნების (2% დაახლოებით 11 წუთიდან) მიმართაც. კოალიციას უარყოფითი ტონის წილიც საკმაოდ დიდი აქვს სხვა სუბიექტებთან შედარებით - 27 პროცენტი 10 წუთიდან და 46 წამიდან (იხ. დიაგრამა 12).

სიუჟეტებზე ზოგად შთაბეჭდილებას რაც შეეხება, აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად ბევრი ნეიტრალური სიუჟეტისა, გვხვდება შემთხვევები, როცა სიუჟეტები დადებითისკენ იხრება და ყველა ასეთ შემთხვევაში დადებითი შთაბეჭდილება მაყურებელს რჩება ან ხელისუფლების წარმომადგენლებზე ან ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაზე.

პრეზიდენტის დადებითი გაშუქების ერთ-ერთი მაგალითია 11 ივნისის სიუჟეტი „პრეზიდენტი ოზურგეთის რაიონში“, სადაც ნაჩვენებია მისი შეხვედრა და საუბარი ხალხთან, მათ შორის ბავშვებთან და ხალხის მხრიდან განსაკუთრებული კეთილგანწყობა.<sup>1</sup>

სიუჟეტები მათში წარმოდგენილი რესპონდენტების მიხედვით ზოგჯერ დაბალანსებულია და ზოგჯერ - არა. აქედან გამომდინარე, ამ პერიოდისთვის რაიმე ტენდენციის გამოყოფა რთულია. დაუბალანსებელი სიუჟეტის ერთ-ერთი კარგი მაგალითია 7 ივნისის სიუჟეტი „რას ფიქრობენ ოცნებაში?“ სიუჟეტში არაა ნაჩვენები არც ქართული ოცნებისა და არც კონტროლის პალატის წარმომადგენლები. სულ გამოყენებულია ერთი წყარო - ივანიშვილის ფეისბუქის გვერდი, ოღონდ ისეა ნაჩვენები (ფეისბუქის ლოგო და მოძრავი ტექსტი), რომ გაუგებარია, ნამდვილად ფეისბუქის გვერდია თუ არა. ეს სიუჟეტი სხვა მხრივაც საინტერესოა. ნაჩვენები მოძრავი ტექსტი არ შეესაბამება ჟურნალისტის ნაამბობს.

---

<sup>1</sup> სიუჟეტი იხილეთ შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=JejurTbaExU&feature=youtu.be>

## მაესტრო

მაესტროზე 1-დან 18 ივნისამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას - 26 პროცენტი. მეორე და მესამე ადგილას დათმობილი დროის მიხედვით მთავრობა და პრეზიდენტი მოხვდნენ 20 და 16 პროცენტით, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაეთმო დროის 11 პროცენტი, დანარჩენ სუბიექტებს კი - 5 პროცენტი ან ნაკლები (იხ. დიაგრამა 13).

მაესტროზე პირდაპირ და ირიბ საუბარზე დაკვირვებით გამოვლინდა, რომ კოალიცია ქართულ ოცნებასა და პრეზიდენტს ერთნაირი შედეგი აქვთ - 55 და 56 პროცენტი პირდაპირი საუბარი. თუმცა, კოალიციას თითქმის ორჯერ მეტი დრო დაეთმო - 58 წუთი, პრეზიდენტს კი - 36 წუთი. საინტერესოა ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის შედეგი. დათმობილი 7 წუთიდან 73 პროცენტის შემთხვევაში მათ პირდაპირ საუბრის საშუალება მიეცათ. ლეიბორისტულ პარტიას კი, რომელსაც ასევე 7 წუთი დაეთმო, პირდაპირი საუბრისთვის დროის მხოლოდ 23 პროცენტი მიეცა (იხ. დიაგრამა 14).

სიუჟეტებზე დაკვირვებისას ზოგადი შთაბეჭდილებით ხელისუფლების წარმომადგენლების გაშუქება კრიტიკული და ირონიული იყო და ძირითადად უარყოფითისკენ იხრებოდა. მაგალითად, 7 ივნისის სიუჟეტი „ავალიანის გაუჩინარების დეტალები“ წამყვანი ასე გადასცემს სიტყვას სიუჟეტის ავტორს: „ახლა ნინო არღვლიანი გეტყვით, უნდოდა თუ არა ვარძელაშვილს ავალიანის შეჭმა“. თუმცა მოგვიანებით სიუჟეტში ნათქვამია, რომ მინისტრი ხუმრობს და ნაჩვენებია ეს ხუმრობა.

იგივეს აჩვენებს რაოდენობრივი მონიტორინგის შედეგებიც. ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დრო საინტერესო სურათს ქმნის. ძირითადად ჟურნალისტი სუბიექტებზე ნეიტრალური ტონით საუბრობს. უარყოფითი ტონი გამოვლინდა მხოლოდ რამდენიმე სუბიექტის მიმართ. ესენია: ადგილობრივი თვითმმართველობა (13%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (10%), მთავრობა (7%) და პრეზიდენტი (5%). კოალიცია ქართულ ოცნებასაც აქვს უარყოფითი ტონი, მაგრამ მხოლოდ 1 პროცენტი (იხ. დიაგრამა 15).

მსგავსი სურათია რესპონდენტების ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილების მხრივაც. ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, პრეზიდენტს, მთავრობას

და ადგილობრივ თვითმმართველობას ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი აქვს. ამ სუბიექტების მიმართ დადებითი ტონიც გამოვლინდა (იხ. დიაგრამა 16).

მაესტროზე საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა ჟურნალისტის ნათქვამი არ შეესაბამება სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების კომენტარებს ან ვიზუალურ მასალას. მაგალითად, 9 ივნისის სიუჟეტში „ერთი დღე აქციამდე“ ჟურნალისტი ამბობს, რომ კოალიციამ ხელისუფლების დათმობად შეაფასა ალტერნატიული ფართის გამოყოფა აქციისათვის. ამას მოსდევს კოალიციის პრესსპიკერის, მია ფანჯიკიძის კომენტარი, რომელიც ხელისუფლებას საერთოდ არ ახსენებს.

12 ივნისის პირველი სიუჟეტში „22 თუ 121 ევრო? ქუთაისი-კიევის ავიარეისის ბილეთის ფასი 22 ევროზე გაცილებით მეტია“ ჟურნალისტი ამბობს, რომ ხელისუფლების მიერ „მენეჯმენტდაწუნებული“ აირზენა კომენტარისგან თავს იკავებს, თუმცა არ დაუდასტურებია, საიდან აქვს ინფორმაცია, რომ ხელისუფლება აირზენას მენეჯმენტს უწუნებს. სიუჟეტში ეს არავის უთქვამს, მათ შორის, არც პრეზიდენტს, რომელიც საერთოდ არ ახსენებს კონკრეტულ ავიაკომპანიას.

მაესტროზე სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ სიუჟეტები ზოგჯერ დაბალანსებულია და ზოგჯერ - დაუბალანსებელი. ამ მხრივ მოცემული პერიოდის მიხედვით რაიმე კონკრეტული ტენდენციის გამოყოფა რთულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაუბალანსებელი სიუჟეტები ძირითადად ისეთ საკითხებს ეხება, სადაც აშკარაა ხელისუფლების წარმომადგენლების კომენტარის საჭიროება, მაგრამ ეს კომენტარები სიუჟეტში არ არის. მაგალითად, 9 ივნისის სიუჟეტი „ქართული ოცნების წევრების სასამართლო პროცესი“. სიუჟეტში წარმოდგენილია 5 რესპონდენტი, ხუთივე კოალიციიდან და ამით სრულადაა წარმოდგენილი კოალიცია ქართული ოცნების პოზიცია, მაგრამ არ არის არც შინაგან საქმეთა სამინისტროს, არც პროკურატურის ან ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენლის კომენტარი.

## კავკასია

კავკასიაზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას - 28 პროცენტი. მეორე და მესამე ადგილები მთავრობამ (17%) და ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ (12%) დაიკავა. აღსანიშნავია, რომ კავკასია ერთადერთი არხია, სადაც პრეზიდენტი დათმობილი დროის მიხედვით პირველ სამეულში არ მოხვდა. პრეზიდენტს კავკასიაზე დროის 10 პროცენტი დაეთმო. დანარჩენ სუბიექტები დროის 6 პროცენტის ან ნაკლების განმავლობაში გაშუქდა (იხ. დიაგრამა 17).

პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტული განაწილების მიხედვით აღსანიშნავია, რომ სუბიექტებს, რომლებსაც 9 წუთი ან მეტი დაეთმოთ პირდაპირი და ირიბი საუბარი მეტ-ნაკლებად თანაბრად აქვთ განაწილებული. ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობას, რომელსაც 8 წუთი დაეთმო ამ არხზე, დროის 67 პროცენტის განმავლობაში პირდაპირი საუბრის საშუალება ჰქონდა. კონტროლის პალატა კი, ძირითადად, განხილვის საგანი იყო და მხოლოდ დროის 3 პროცენტის განმავლობაში ჰქონდა პირდაპირი საუბარი (იხ. დიაგრამა 18).

ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება შემდეგ სურათს აჩვენებს. ჟურნალისტი ძირითადად ნეიტრალური ტონით საუბრობს სუბიექტებზე, თუმცა, რიგ სუბიექტებს უარყოფითი ტონით ახსენებს. მთავრობას (8%), პარლამენტს (9%), პრეზიდენტს (7%), ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (3%), კონტროლის პალატასა (7%) და ადგილობრივ თვითმმართველობას (54% 1 წუთიდან და 21 წამიდან) უარყოფითი ტონი დაუფიქსირდა (იხ. დიაგრამა 19).

მსგავსი სურათია რესპონდენტების მიერ სუბიექტებზე საუბრის ტონის შემთხვევაშიც. მთავრობას აქვს პროცენტულად ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი (45% დაახლოებით 6 წუთიდან), პრეზიდენტს - 28% დაახლოებით 3 წუთიდან, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას 24 პროცენტი უარყოფითი წუთ-ნახევრიდან და კონტროლის პალატას - 30 პროცენტი დაახლოებით 2 წუთიდან. კოალიცია ქართულ ოცნებასაც დაუფიქსირდა 4 პროცენტი უარყოფითი და 6 პროცენტი დადებითი ტონი რესპონდენტების მხრიდან. აღსანიშნავია, რომ ლეიბორისტულ პარტიას აქვს პროცენტულად ყველაზე მეტი დადებითი ტონი - 22 პროცენტი დაახლოებით წუთ-ნახევრიდან (იხ. დიაგრამა 20).



იგივეს ასახავს თვისებრივი მონიტორინგიც. ხელისუფლების წარმომადგენლების გაშუქება ირონიულისა და უარყოფითისკენ იხრება. ამასთან, ხშირი იყო თვითონ რესპონდენტების მიერ ხელისუფლების მძაფრი კრიტიკა.

კავკასიაზე სიუჟეტები წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ძალიან ხშირად რესპონდენტებს არ ეწერება მათი ვინაობა და ხანდახან რთული დასადგენია, ვინ არის რესპონდენტი.

სხვა დარღვევების მაგალითები კავკასიაზე თითქმის არ გამოვლენილა.

### **მეცხრე არხი**

მეცხრე არხზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას - 31 პროცენტი. მთავრობა (22%), პრეზიდენტი (17%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (12%) ასრულებენ პირველ ოთხეულს. დანარჩენ სუბიექტებს კი 5 პროცენტზე ნაკლები დრო დაეთმოთ (იხ. დიაგრამა 21).

პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტული განაწილება საინტერესო სურათს ქმნის. დათმობილი დროის მიხედვით პირველ ოთხ სუბიექტს თუ შევხედავთ, კოალიცია ქართულ ოცნებას აქვს დროის ნახევარზე მეტი (54%) პირდაპირი საუბარი. ამის ერთ-ერთი მაგალითია 9 ივნისის სიუჟეტი ბიძინა ივანიშვილის მიერ მასტროსთვის მიცემული ინტერვიუს შესახებ. ამ სიუჟეტში 11 წუთის განმავლობაში საუბრობს ივანიშვილი.

კოალიცია ქართული ოცნებისგან განსხვავებით, მთავრობას, პრეზიდენტს და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას პირდაპირი საუბრის 19, 32 და 43 პროცენტი აქვთ. კონტროლის პალატა და პარლამენტი მეცხრე არხზე ძირითადად სხვების განხილვის საგანი იყო (მხოლოდ 14 და 13 პროცენტი პირდაპირი საუბარი), ადგილობრივ არასამთავრობოებს კი ჰქონდათ საკმაოდ დიდი პირდაპირი საუბრის პროცენტი - 72% დათმობილი 4 წუთიდან (იხ. დიაგრამა 22).

ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება აჩვენებს, რომ ამ არხზეც ჟურნალისტები უმეტესად ნეიტრალური ტონით საუბრობენ სუბიექტებზე, მაგრამ უარყოფითი ტონის წილიც საკმაოდ დიდია ისეთი სუბიექტების მიმართ, როგორებიცაა: მთავრობა (15% დაახლოებით 15 წუთიდან), პრეზიდენტი (16% 11 წუთ-ნახევრიდან), ადგილობრივი თვითმმართველობა (27% 3 წუთიდან) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (9% 8 წუთიდან) (იხ. დიაგრამა 23).

რესპონდენტების მიერ სუბიექტებზე საუბრის ტონიც მსგავსია. მთავრობის მიმართ 40 პროცენტი უარყოფითი ტონი გამოვლინდა დაახლოებით 10 წუთიდან, პრეზიდენტის მიმართ - 20 პროცენტი უარყოფითი დაახლოებით 4 წუთიდან. ასევე 16 და 20 პროცენტი უარყოფითი ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და კონტროლის პალატის მიმართ დაახლოებით წუთ-ნახევრიდან. სიუჟეტების რესპონდენტები დადებითად საუბრობდნენ მხოლოდ ორ სუბიექტზე - 7 პროცენტი დადებითი ტონი აქვს კოალიცია ქართულ ოცნებას 6 წუთ-ნახევრიდან და 4 პროცენტი დადებითი ტონი - პრეზიდენტის მიმართ დაახლოებით 4 წუთიდან (იხ. დიაგრამა 24).

თვისებრივი მონიტორინგის დროს სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებაზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ მეცხრე არხზე თითქმის ყოველთვის ძალიან უარყოფითად და ირონიულადაა წარმოჩენილი ხელისუფლების წარმომადგენლები: პრეზიდენტი, მთავრობა და ადგილობრივი თვითმმართველობა. მაგალითად, 7 ივნისის სიუჟეტი ეროვნულ გამოცდებზე პრეზიდენტის განცხადების შესახებ, მთავრდება პრეზიდენტის შემდეგი სიტყვებით: „არ შეიძლება ბავშვს სთხოვდე ისეთ რაღაცას, რაც არ ისწავლება სკოლაში“ [დაგრძელებით ამბობს]. ამის შემდეგ მომდევნო სიუჟეტის დაწყებამდე კადრი გადადის სტუდიაზე, სადაც ჩნდება წამყვანი, რომელიც იღიმება. რჩება შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტის სიტყვებზე იღიმება, რაც სიუჟეტს ირონიას სძენს.

ერთ-ერთი სიუჟეტი, რომელიც ხელისუფლებაზე უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს, არის არის 7 ივნისის „ტრაგედია ქუთაისში: ახალი მსხვერპლი პარლამენტის მშენებლობაზე“. სიუჟეტი რეალურად ეხებოდა ქუთაისში 3 წლის წინ დიდების მემორიალის აფეთქებას, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა. საერთო ჯამში, სათაური სიუჟეტს არ შეესაბამება. სიუჟეტში

ორჯერაა ნაჩვენები დიდების მემორიალის აფეთქების კადრები ქუთაისში. თანაც, მეორედ ნაჩვენები კადრები არ არის პროფესიონალური კამერით გადაღებული, თან სდევს სხვა ქალის კვილი, რაც კიდევ უფრო ამძიმებს კონტექსტს.<sup>2</sup>

მეცხრე არხზე სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ სიუჟეტები ზოგჯერ დაბალანსებულია და ზოგჯერ - დაუბალანსებელი. ამ მხრივ მოცემული პერიოდის მიხედვით რაიმე კონკრეტული ტენდენციის გამოყოფა რთულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაუბალანსებელი სიუჟეტები ძირითადად ისეთ საკითხებს ეხება, სადაც აშკარაა ხელისუფლების წარმომადგენლების კომენტარის საჭიროება, მაგრამ ეს კომენტარები სიუჟეტში არ არის.

მეცხრე არხზე მეტ-ნაკლებად გვხვდება შეუსაბამოა ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების კომენტარებს ან ვიზუალურ მასალას შორის. მაგალითად, 11 ივნისის სიუჟეტში „ივანიშვილი 148 მილიონით დაჯარიმდა“ ჟურნალისტი ამბობს: „კოალიცია ქართულ ოცნებაში ამ ფაქტს უკვე უწოდეს წამსვლელი ხელისუფლების ჰონორარი, რომელსაც ხელისუფლება 7 დღის ვადაში ითხოვს“. კოალიციის არცერთი წარმომადგენელი ამ სიტყვებს არ ამბობს.

7 ივნისის სიუჟეტში, რომელიც ეხება ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს ქუთაისზე და ქუთაისის აქციაზე, ჟურნალისტი ამბობს: „ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუდან, სადაც ის აცხადებს, რომ დაშინებით ხელისუფლება თავის მიზანს ვერ მიაღწევს“. თუმცა, ბიძინა ივანიშვილს ნაჩვენებ ინტერვიუში მსგავსი რამ არ უხსენებია.

## რეალ ტვ

რეალ ტვ-ზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას - 42 პროცენტი. რეალ ტვ ერთადერთი არხია, რომელმაც სუბიექტებისთვის დათმობილი დროის 40 პროცენტზე მეტი დაუთმო ერთ რომელიმე სუბიექტს. ყველა საინფორმაციო გამოშვების პირველი 3-4 სიუჟეტი

---

<sup>2</sup> სიუჟეტი იხილეთ შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=EmiiqF-hXEs&feature=youtu.be>

ეთმობოდა კოალიცია ქართულ ოცნებასა და ბიძინა ივანიშვილს. დათმობილი დროის მიხედვით პირველ სამეულში ასევე მოხვდნენ პრეზიდენტი (30%) და მთავრობა (13%). დანარჩენ სუბიექტებს კი 3 პროცენტი ან ნაკლები დრო დაეთმოთ (იხ. დიაგრამა 25).

საინტერესოა, რომ პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტული განაწილების მიხედვით, კოალიცია ქართულ ოცნებას აქვს პირდაპირი საუბრის ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი (26% თითქმის 2 საათიდან). ეს მაჩვენებელი კონტროლის პალატისა და ლეიბორისტული პარტიის პირდაპირი საუბრის მაჩვენებელზე თითქმის ორჯერ ნაკლებია. მაშინ, როცა პრეზიდენტს, პარლამენტს, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას პირდაპირი საუბრის თითქმის 80 პროცენტი აქვთ. (იხ. დიაგრამა 26) მაგალითად, 6 ივნისის სიუჟეტში „შეხვედრა მოსახლეობასთან“, რომელიც სულ 17 წუთი გაგრძელდა, 16 წუთის განმავლობაში საუბრობს მიხეილ სააკაშვილი.

ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება რაოდენობრივ მონაცემებშიც კარგადაა ასახული და თვისებრივშიც. ჟურნალისტის მიერ კოალიციაზე საუბრის მთლიანი დროის 40 პროცენტი (დაახლოებით 50 წუთიდან) უარყოფითი ტონისაა (იხ. დიაგრამა 27). ეს სიუჟეტების ზოგადი შთაბეჭდილებიდანაც კარგად ჩანს. ქვემოთ მოცემულია ჟურნალისტების რამდენიმე ციტატა. მაგალითად, 6 ივნისის სიუჟეტში „ივანიშვილის მორიგი სკანდალი“ ჟურნალისტი ამბობს: „ოლიგარქი მსგავს აბსურდულ შეცდომებს ხშირად უშვებს, რის გამოც ქართული ოცნების წევრებს ოლიგარქის უგუნური ნამოქმედარის გამოსწორება ერთი მეორის მიყოლებით უწევთ“.

15 ივნისის სიუჟეტში „მადლობა ბიძინას“ ჟურნალისტი ამბობს: „ბიძინა ივანიშვილის ოქროთი და ფულებით დატვირთული აქლემი ამჯერად ტელეკომპანია მაესტროს კართან გაჩერდა... ამის სანაცვლოდ მათ დილა-სადამოს ეთერში ბიძინას შესახებ წირვა-ლოცვის აღვლენა ევალებათ. ლოცვები სავალდებულო იქნება სადილის წინ და სადილის შემდეგაც... გმადლობ ბიძინა, რომ განმადლე მე შენ - დაიძახებს რომელიმე მაესტროელი და რამიშვილი და სხვები აჰყვებიან“.

რეალ ტვ-ს ჟურნალისტებმა უარყოფითი ტონით ასევე ისაუბრეს ლეიბორისტულ პარტიაზე (8% დაახლოებით 2 წუთ-ნახევრიდან) და კონტროლის პალატაზე (4% დაახლოებით 2 წუთიდან), ხოლო დადებითი ტონით - მთავრობაზე (11% დაახლოებით 3 წუთიდან) და პრეზიდენტზე (2% დაახლოებით ხუთ-ნახევარი წუთიდან). დადებითი ტონის კარგი მაგალითია სიუჟეტები ჰილარი კლინტონის ვიზიტზე საქართველოში. ამ თემას რეალ ტვ-ზე რამდენიმე სიუჟეტი მიეძღვნა. მაგალითად, 6 ივნისს სიუჟეტში „ვიზიტის არაოფიციალური ნაწილი“ ნაჩვენებია ბათუმის ლამაზი ხედები და ადევს სასიამოვნო მუსიკა. რამდენიმე ხედის შემდეგ ჩნდება ჰილარი კლინტონის თვითმფრინავი. შემდეგ ნაჩვენებია მისი შეხვედრა მთავრობის წარმომადგენლებთან. სიუჟეტის მსვლელობისას ასევე ნაჩვენებია კადრები, სადაც კლინტონი და სააკაშვილი სეირნობენ ბათუმის ქუჩებში, ბულვარში და ამას თან სდევს სასიამოვნო მუსიკა.<sup>3</sup>

რესპონდენტების მიერ სუბიექტებზე საუბრის ტონიც იგივე სურათს ქმნის. კოალიცია ქართულ ოცნებას დათმობილი დროის 32 პროცენტი უარყოფითი ტონის აქვს, 5 პროცენტი დადებითი. მთავრობასა და პრეზიდენტს კი 15 და 7 პროცენტი უარყოფითი ტონი და 31 და 26 პროცენტი - დადებითი ტონი (იხ. დიაგრამა 28).

რეალ ტვ-ზე ხშირია შეუსაბამობა ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში ნაჩვენებ კომენტარებსა თუ კადრებს შორის. მაგალითად, 7 ივნისის სიუჟეტი „მოქმედება ივანიშვილის ფულით“ - მთელი სიუჟეტი აგებულია იმაზე, თუ რამდენი დაუჯდა ივანიშვილს პოლიტიკაში მოსვლა. ჩამოთვლილია ოფისი, სატრანსპორტო საშუალებები, წილების შესყიდვა, ხელფასები; ასევე რამდენი გადაურიცხა ივანიშვილმა მაესტროსა და კავკასიას და რამდენი დაუჯდა მას კავკასიის ეთერში გამოჩენა. ჟურნალისტი თითოეულ ამ ჩამონათვალზე ასახელებს კონკრეტულ თანხას, მაგრამ ერთხელაც არ არის ნახსენები რა საბუთებზე ან წყაროებზე დაყრდნობითაა მოტანილი ეს რიცხვები.

---


<sup>3</sup> სიუჟეტი იხილეთ შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=gbUdhn7pPQ&feature=youtu.be>

დანართი - დიაგრამები

დიაგრამა 1



დიაგრამა 2




დიაგრამა 3







დიაგრამა 4




დიაგრამა 5




დიაგრამა 6




დიაგრამა 7




დიაგრამა 8




დიაგრამა 9



დიაგრამა 10




დიაგრამა 11







დიაგრამა 12




დიაგრამა 13




დიაგრამა 14




დიაგრამა 15




დიაგრამა 16




დიაგრამა 17



დიაგრამა 18




დიაგრამა 19







დიაგრამა 20




დიაგრამა 21




დიაგრამა 22




დიაგრამა 23




დიაგრამა 24




დიაგრამა 25



დიაგრამა 26



დიაგრამა 27





დიაგრამა 28

